ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 19 ოქტომბრის სხდომის
ოქმი N 9

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 19 ოქტომბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
2. საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ
3. იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ
4. აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მაგდა ალანიამ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინგლისურენოვან სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამაში „მათემატიკა“ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით შეტანილი ცვლილება (იხ. დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი ცვლილების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: ცვლილება დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილება ინგლისურენოვან სტრუქტურირებულ სადოქტორო პროგრამაში „მათემატიკა“. კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით პროგრამის პუნქტს „დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა“ დაემატა აბზაცი:

სადოქტორო დისერტაციის შემფასებელი (რეცენზენტი)
სადოქტორო დისერტაცია უნდა შეფასდეს ერთი საერთაშორისო შემფასებლის (რეცენზენტის) მიერ მაინც, რომელიც არ არის დაკავშირებული შრომითი-იურიდიული ხელშეკრულებით საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ორი კანდიდატურა: პირველი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის (ქ.დუბნა) ბალდინისა და ვეკსლერის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ კეკელიძე, რომელსაც ამა წლის 21 ოქტომბერს 70 წელი უსრულდება. და მეორე - ვილიამ ტონგი (William G. Tong), სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის USA Millennium Challenge Corporation-ის მიერ დაფინანსებული მასშტაბური პროექტის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020" განხორციელების საქმეში.

სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, რომ პროფესორ ვლადიმერ კეკელიძის თსუ საპატიო დოქტორად არჩევის თაობაზე მას შუამდგომლობით მიმართა თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა მიხეილ ნიორაძემ (იხ. დანართები 2). შემდეგ ბატონმა რამაზმა სიტყვა გადასცა პროფესორ თ. კერესელიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ ვლადიმერ კეკელიძე ცნობილია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ექსპერიმენტატორი მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგში. იგი არის 290-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი და თანაავტორი. პროფესორ ვ.კეკელიძეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში, კერძოდ კი თსუ-ში მაღალი ენერგიების ექსპერიმენტული ფიზიკის განვითარებაში. ის მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფს, რომელშიც სხვადასხვა პერიოდში თსუ-ს 20-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა. მისი აღზრდილი ქართველი მეცნიერები წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

პროფესორ ვილიამ ტონგის შესახებ საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა თავად ისაუბრა, მით უმეტეს, რომ ბატონ ტონგს და მას მონათესავე სამეცნიერო თემატიკა აქვთ. ვილიამ ტონგი ცნობილი მეცნიერია - მას მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ჩატარებული ქიმიის, ბიოქიმიის, ფიზიკის დარგებში. იგი მრავალი სამეცნიერო ჯილდოს მფლობელია. აქტიურად მონაწილეობს პროექტის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020" განხორციელებაში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.უგულავამ, ა.შენგელაიამ, ნ.შათაშვილმა, ლ.მაჭავარიანმა, შ.სამსონიამ, თ.დავითაშვილმა. მათ დადებითად დაახასიათეს კანდიდატები, თუმცა აღინიშნა, რომ უმჯობესი იქნება სამომავლოდ თსუ საპატიო დოქტორად არჩევის ინიციატივა ფაკულტეტის შესაბამისი დეპარტამენტიდან მოდიოდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, რომ აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის ბალდინისა და ვეკსლერის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, პროფესორ ვლადიმერ კეკელიძის და სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ ვილიამ ტონგისათვის (William G. Tong) თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

ა) პროფესორი ვ.კეკელიძე: მომხრე - 24, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 3;
ბ) პროფესორი ვ.ტონგი: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 2.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე თსუ ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისათვის დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული

ინსტიტუტის ბალდინისა და ვეკსლერის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, პროფესორ ვლადიმერ კეკელიძის და სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორ ვილიამ ტონგისათვის (William G. Tong) თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, რომ შარშან დანამატი გაიცა იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებულ 25 სტატიაზე. წელს ასეთი ორჯერ მეტი სტატია გვაქვს, ბიუჯეტი საკმარისია ამ თანხის გადასახდელად, მაგრამ საქმეს მსვლელობა რომ მიეცეს, თანხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება ფაკულტეტის საბჭომ უნდა მიიღოს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, ნ.კოშორიძემ, ა.შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

დაადგინეს: გაიცეს სახელფასო დანამატი 2017 წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სტატიებზე (თითო აკადემიურ პერსონალზე თითო სტატია), რომლებიც გამოქვეყნებულია ან მიღებულია დასაბეჭდად 2016 წლის 31 მარტიდან 2017 წლის 31 მარტის შუალედში. გაიცეს თითო სტატიაზე 2500 ლარი ფაკულტეტის ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან თანდართული სიის შესაბამისად.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ. როგორც სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, რექტორთან შეხვედრაზე გადაწყდა, რომ აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარებისთვის კრიტერიუმების შედგენა დაევალება ფაკულტეტებს. ერთადერთი თხოვნა რექტორისგან იყო ის, რომ კრიტერიუმებში გაეთვალისწინებინათ კონკურსანტის მიერ ლექციის ან პრეზენტაციის წაკითხვა და კონკურსის შეფასების კრიტერიუმები ყოფილიყო გაზომვადი. ამ პირობების გათვალისწინებით ბატონმა რამაზმა შეადგინა საკონკურსო კრიტერიუმების პირველადი ვერსია, რაც დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს რამდენიმე დღის წინ. დეპარტამენტებიდან შემოსული შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით მოხდება წარმოდგენილი ვარიანტის შესწორება და შემდეგ რექტორატთან შეთანხმება. რამოდენიმე დეპარტამენტიდან გამოაგზავნეს კიდეც შენიშვნები. თუმცა ამ ეტაპზე მთავარია გაირკვეს - პრინციპულად მისაღებია თუ არა საბჭოს წევრებისთვის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, ასევე მოთხოვნა - კონკურსანტმა უნდა წაიკითხოს ლექცია/პრეზენტაცია და კონკურსის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს გაზომვადი, თუ სხვა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს საკონკურსო კრიტერიუმები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა სჯა-ბაასი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა.გამყრელიძემ. მან იკითხა ნებადართულია თუ არა თსუ სხვადასხვა ფაკულტეტზე განსხვავებული საკონკურსო კრიტერიუმების გამოყენება, რაზეც სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ნებადართულია. ფიზიკის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე ისაუბრა პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მას აინტერესებდა სასწავლო, სამეცნიერო და ლექცია/პრეზენტაციის კომპონენტებისთვის მისაღებია თუ არა თანაფარდობა 40-40-20 %,

თუ აუცილებელია 35-35-30 % თანაფარდობის დაცვა. ბატონმა დეკანმა უპასუხა, რომ სხვა ვარიანტიც დასაშვებია - როგორც საბჭო ჩათვლის საჭიროდ.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ე.ნადარაიამ, გ.სირბილაძემ. ამ უკანასკნელმა საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ საკონკურსო შერჩევის მეორე ეტაპზე ძირითადი კრიტერიუმები იყოს ერთიდაიგივე, ოღონდ თითოეული კრიტერიუმის ქვეპუნქტები დეპარტამენტებმა თვითონ გაწერონ.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ საჭიროა შევთანხმდეთ, მსხვილ კრიტერიუმებს რას მივაკუთვნებთ, შემდეგ კი დეპარტამენტები თვითონ მიანიჭებენ ქვეპუნქტებს ქულებს დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა დ.კერესელიძემ, მ.ამაღლობელმა, ა.შენგელაიამ. ყველა დაეთანხმა ამ აზრს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ბიოლოგიის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ე.წ. არამკაფიო შეფასების მოდელი, სადაც ქულების ნაცვლად არის შეფასებები: მაღალი, საშუალო და დაბალი. ამასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა პროფესორმა გ.სირბილაძემ. მან აღნიშნა, რომ შეფასების ასეთი მოდელიდან შესაძლებელია რაოდენობრივ შეფასებებზე გადავიდეთ გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის მეთოდიკის გამოყენებით.

პროფესორმა ა.გამყრელიძემ შენიშნა, რომ ზოგადად, შეფასების გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელი არ იქნება საკონკურსო კომისია პროფესიონალებისაგან შედგებოდეს.

პროფესორმა ა.უგულავამ ისაუბრა მესამე კრიტერიუმზე - ლექცია/პრეზენტაციის კომპონენტზე. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ობიექტურად კომისია ამ კომპონენტს ვერ შეაფასებს. აზრი გამოთქვა პროფესორმა ნ.შათაშვილმაც. ყველა შეთანხმდა, რომ ეს კომპონენტი გადამწყვეტი არ უნდა იყოს.

პროფესორმა გ.ღვედაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდეს პირველი ორი კრიტერიუმის მიხედვით, ხოლო ლექცია/პრეზენტაციის წაკითხვა მოხდეს ამის შემდეგ.

აზრი გამოთქვა პროფესორმა დ.კერესელიძემ. მან აღნიშნა, რომ ლექციის ჩატარება არავისთვის უნდა იყოს რთული, უბრალოდ, საკონკურსო შერჩევისას ამის აუცილებლობა შეურაცმყოფელია. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ლექცია/პრეზენტაციის კომპონენტი შეეხოს მხოლოდ მათ, ვინც პირველად იყრის კენჭს თსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე.

პროფესორმა ა. შენგელაიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა დაისვას საკითხი პროფესორთა (გარკვეული კატეგორიის მაინც) უვადოდ არჩევის შესახებ, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ უნივერსიტეტშია.

პროფესორმა მ.ხაჩიძემ სტუდენტების სახელით დასვა შეკითხვა - საკონკურსო შერჩევისას თუ მოხდება ჩატარებული გამოკითხვების შედეგად სტუდენტების მიერ პედაგოგებისთვის მიცემული შეფასებების გათვალისწინება, რაზეც დეკანმა უპასუხა, რომ გამოკითხვა ანონიმურია და შედეგების გასაჯაროება არასდროს მოხდება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა დისკუსია.

მან კენჭი უყარა წინადადებას, რომ კონკურსის დროს შეფასების კრიტერიუმები ყოფილიყო გაზომვადი და კრიტერიუმებში გათვალისწინებული ყოფილიყო კონკურსანტის მიერ ლექციის ან პრეზენტაციის წაკითხვა.

დეპარტამენტებიდან შემოსული შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით მოხდება წარმოდგენილი ნიმუშის (იხ. დანართი 4) შესწორება და საბოლოო ვერსიის რექტორატთან შეთანხმება.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 1.

დაადგინეს: აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ახალი საკონკურსო კრიტერიუმების შესახებ ფაკულტეტის საბჭო შეთანხმდა, რომ მისაღებია შეფასება სამეცნიერო, სასწავლო და ლექცია/პრეზენტაცია კომპონენტების მიხედვით, გაზომვადი კრიტერიუმებით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

მდივანი, ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი